პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 30 (1666) ○ ხუთშაბათი, 9 მარტი, 1961 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი. ○ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



« როგორც ვიუწყებოდით, თბილისელმა სტუდენტმა ი. რიაზანოვამ მოსკოვში გამართულ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში ორი პირველი ადგილი დაიკავა.

ხშრათზე: ი. რიაზანოვა (შუაში) გამარჯვებულის კვარცლბეკზე.

ფოტო ე. დავთიანისა.

„დაუმარცხებელი რუსი სახლში ბრუნდება“

ამერიკული პრესა განაგრძობს „მედისონ სკვერ-გარდენში“ მოწყობილ შეჯიბრებებზე ვალერი ბრუმელის შესანიშნავი წარმატების კომენტირებას.

დიდ სტატიაში, რომელიც დასათაურებულია — „დაუმარცხებელი რუსი ბრუნდება სახლში“, გაზეთ „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანის“ სპორტული მიმომხილველი წერს: „ვალერი ბრუმელი აშშ-ს „ოქროს მარაგის“ დიდი ულუფით ბრუნდება სახლში... სამი ოქროს მედალი სამ შეხვედრაში, სამი გამარჯვება დიდ ამერიკელ მხტომელზე ჯონ თომასზე! მის რუს ამხანაგებს შეუძლიათ იამაყონ თავისი 18 წლის წარმომადგენლით“.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ აქვეყნებს ცნობას საბჭოთა სიმაღლეზე მხტომელის უკანასკნელი გამოსვლის შესახებ და მას უზარმაზარ სათაურს უკეთებს: „რუსი მესამეჯერ ამარცხებს თომასს“, „საბჭოთა მხტომელი რეკორდების მატჩზე ყურადღების ცენტრშია“. ამ გაზეთის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ „ბრუმელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ისე მიესალმებოდნენ, თითქოს ის ამერიკის გმირი ყოფილიყოს“.

გაზეთ „მირორის“ მიმომხილველი ავრეთვე წერს, რომ ბრუმელი „ამერიკელ სპორტის მოყვარულთა რჩეული“ გახდა.

აშშ-ს მძლეოსნური კავშირის წარმომადგენლებმა ოფიციალურად მიიწვიეს ვ. ბრუმელი ნიუ-იორკში 25-26 ივნისს აშშ-ს მძლეოსანთა ზაფხულის პირველობაზე მონაწილეობის მისაღებად. ამ კავშირის საპატიო მდივანმა დ. ფერისმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა, რომ ბრუმელი პირველი საზღვარგარეთელი სპორტსმენია, რომელმაც მიწვევა მიიღო მძლეოსნობაში აშშ-ს საზაფხულო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის.

„მედისონ სკვერ-გარდენში“ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ დ. ფერისმა „ნიუ-იორკ ჯორნელ ამერიკენის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ საბჭოთა სპორტსმენებმა მნიშვნელოვნად აიმაღლეს თავიანთი ოსტატობა უკანასკნელ წლებში. „ეს დიდად გვაღელვებს ჩვენ, — თქვა მან, — ისინი აწ უკვე დაგვეწევნენ, ან უკვე გადაგვისწრეს კიდეც სპორტის ბევრ სახეობაში. და არაფერში ჩანს, რომ ისინი მომავალში თავიანთი მეცადინეობის შესუსტებას აპირებდნენ“.

შავი ზღვის სანაპიროზე

როგორც ყოველთვის, საბჭოთა კავშირის უძლიერესი საფეხბურთო კლუბები წინასასეზონო საწვრთნელ შეკრებას გადიან შავი ზღვის სანაპიროზე. აქ უკვე შედგა რამდენიმე საკონტროლო მატჩი.

მოსკოვისა და კიევის „დინამოს“ თანაკლუბელთა შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა — 2:1. მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ვორონეჟის „ტრუდის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1, ხოლო ლენინგრადის „ზენიტმა“ დაამარცხა დნეპროპეტროვსკის „ავანგარდი“ — 3:1.

ფეხბურთის მოყვარულთათვის ცნობილია, რომ თბილისის „ბურევესტნიკის“ ნაცვლად „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა ზონაში მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთის ფეხბურთელთა საუკეთესო გუნდი. ეს ახალგაზრდული კოლექტივი, რომელსაც წვრთნის სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ძიაპშიპა, უკვე ჩამოყალიბდა სოხუმში და შეუდგა ინტენსიურ წვრთნას. გუნდს სახელად ეწოდა „რიწა“.

ამ დღეებში „რიწამ“ ჩაატარა თავისი პირველი მატჩი ოჩამჩირის სტადიონზე ქ. ჩერეპოვეცის (რსფსრ) „ხიმიკთან“, რომელიც წარშან უკვე თამაშობდა „ბ“ კლასში რსფსრ-ის II ზონაში, „მეტალურგის“ სახელით.

მატჩი დამთავრდა „ხიმიკის“ გამარჯვებით — 1:0.

კიდევ 10 სანტიმეტრით

ლენინგრადში დამთავრდა ქალაქის ზამთრის პირველობა მძლეოსნობაში, რომელიც რამდენიმე მაღალი შედეგით აღინიშნა. ბირთვის კვრაში XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა თ. პრესმა აჩვენა 16 მ 62 სმ და განაახლა ქვეყნის უმაღლესი მიღწევა დახურული შენობისათვის. მსოფლიო მიღწევა გაიმეორა მისმა დამ ი. პრესმა 80 მეტრზე თარჯრბენში, როცა ნახევარ ფინალში ამ მანძილის გარბენას მოანდომა 10,6 წ. იგი უძლიერესი იყო 100 მეტრზე რბენაშიც — 11,9 წამი (ნახევარ ფინალში აჩვენა 0,1 წამით უკეთესი შედეგი).

განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ელექტროტექნიკური ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტს ტ. შჩელკანოვას. მან წინასწარ შეჯიბრებაზე სიგრძეზე ხტომაში დაძლია 6 მ 17 სმ, ხოლო ფინალში ამ შედეგს კიდევ 10 სანტიმეტრი წაუმატა და 17 სანტიმეტრით გაუმჯობესა ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიო მიღწევა, რომელიც დამყარებული იყო სამი წლის წინათ, ბერლინში, მოსკოველ ნ. ელისეევას მიერ.

წინასწარი თამაშები

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გრძელდება მსოფლიო პირველობა ხელბურთში (7×7). წინასწარი თამაშების შემდეგ ოთხი ქვეჯგუფიდან ორ-ორმა გამარჯვებულმა შექმნა ნახევარფინალური ოთხეულები. პირველ ნახევარფინალურ ჯგუფში მოხვდნენ გერმანიის ერთიანი გუნდი, დანია, ნორვეგია და რუმინეთი. მეორე ქვეჯგუფში არიან შვეცია, ჩეხოსლოვაკია, საფრანგეთი და ისლანდია. აქ გამარჯვებულნი გაითამაშებენ ფინალურ მატჩს.

„ოქროს აქბაბი“

სამი სპორტსმენი პირველ ადგილზე

ლახტის (ფინეთი) მიდამოებში ორ დღეს გრძელდებოდა მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება. გამარჯვებისათვის იბრძოდა 14 ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენი.

ტრამპლინიდან ხტომაში პირველივე სერია აღინიშნა ფინეთის სათხილამურო სპორტის ვეტერანის ვ. კირონენის უპირატესობით. იგი 64 მეტრზე გადახტა. ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებიდან ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა კობა წაქაძეს, რომელიც ლიდერს ჩამორჩა 3,5 მეტრით, მაგრამ ყველაფერი პირველი ცდით როდი დამთავრდა. ხშირად ყოფილა შემთხვევა მეთეოსთა დუელი“. ადვილი გასაგებია, თუ ვინ იგულისხმებოდა ამ „ორეულში“, ვის უწოდებდნენ „პრომეთეოსებს“: საბჭოთა კავშირისა და კანადის გუნდებს, რომლებმაც ამ სამი ტურის მანძილზე თავიანთ გზაზე შემუსრეს თითქმის ყველა დანარჩენი ძირითადი მეტოქეები და სამ-სამი გამარჯვებით ჩაუდგნენ გათამაშებას სათავეში.

და სწორედ აქ, მას შემდეგ, რაც თითქოს ყველაფერი გაირკვა, დაიწყო სენსაციები და მოულოდნელობა. ყველაზე დიდი მათგან იყო საბჭოთა ნაკრებისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების შეხვედრა.

როგორც ცნობილია, ჩვენმა ჰოკეისტებმა პირველი სამი მატჩი ჩაატარეს ლოზანაში, ღია მოედანზე. მეოთხე მატჩი მათ დანიშნული ჰქონდათ ჟენევაში, სადაც ჰოკეის მოედანი დახურულ შენობაშია მოთავსებული. ეს დიდი განსხვავება იყო, რომელსაც, მიოუმეტეს, ჩეხოსლოვაკელებთან შეხვედრაში, შეეძლო სიურპრიზის მოტანა. და ეს სიურპრიზიც მოხდა! ერთ-ერთმა „პრომეთეოსმა“ განიცადა პირველი დამარცხება გუნდისაგან, რომელმაც კიდევ ერთხელ შეცვალა შვეიცარიის პრესაში გაბატონებული ტერმინოლოგია და „დიდ ორეულში“ მესამე წევრის შეტანის კორექტივიც მოითხოვა. ამ გუნდმა — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა დიდი აღმავლობით ჩაატარა შეხვედრა ჩვენს ჰოკეისტებთან; ჯერ კიდევ პირველ პერიოდში გამოიკვეთა მათი უპირატესობა, თუმცა იგი მინიმალური იყო — 1:2. მეორე პერიოდში შანსები გათანაბრდა და თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ გადამწყვეტ ფაზაში საბჭოთა გუნდი კვლავ მოიპოვებდა გამარჯვებას. მაგრამ მოხდა პირიქით. ჩეხოსლოვაკელებმა განსაკუთრებული მონდომებით ჩაატარეს მესამე პერიოდი და მძიმე ბრძოლაში გამოგლიჯეს გამარჯვება თავიანთ მრისხანე მეტოქეებს — 6:4.

ეს ჩვენი ნაკრების პირველი დამარცხებაა, რომელმაც, თუმცა მნიშვნელოვნად შეასუსტა ჩვენი შანსები მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე, მაგრამ საკმაოდ როდი გაუქარწყლებია იგი. წინ კიდევ ბრძოლებია.

რომ მეორე ცდას თავდაყირა დაუყენებია ყველაფერი, ლიდერებიც დაუსჯია, გაუფრთხილებლობისათვის. ასე იყო ახლაც.

მეორე ცდაზე განსაკუთრებით გამოირჩეოდა კობა წაქაძე. იგი 68 მეტრზე გადახტა, მოაგროვა 223,5 ქულა და თითქმის განაღდებული ჰქონდა პირველი ადგილი. მსაჯებმა დააჯამეს საბოლოო შედეგები... გამოირკვა, რომ სათხილამურო სპორტის ისტორიაში მოხდა იშვიათი შემთხვევა. ამდენწილ ქულა აღმოაჩნდათ ავსტრიელ ო. ლეოდოლტერსა და ფინელ ვ. კინკონენს. მსაჯთა კოლეგიამ საამოვეს მიაკუთვნა პირველი ადგილი.

გაუთვალისწინებელი დამარცხება

უკანასკნელ წლებში ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატების შედეგების მიხედვით დადგინდა ტრადიციული შეხედულება, რომ უძლიერესის წოდებისათვის ბრძოლას ძირითადად წარმართავს ხუთი გუნდის — კანადის, საბჭოთა კავშირის, აშშ-ს, შვეიცარიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების პაექრობა.

შვეიცარიის ყინულის მოედნებზე მიმდინარე წლევანდელმა ბრძოლებმა ძირფესვიანად შეცვალა ეს ტრადიციული შეხედულება და სპორტული გაზეთების საერთო აღიარებით, „ჰოკეის დიდი ხუთეულიც“ დაშალა. 1961 წლის ჩემპიონატის პირველი სამი ტურის შემდეგ. გაზეთები უკვე აღარ ლაპარაკობენ „დიდ ხუთეულზე“. ტერმინოლოგია შეიცვალა და ახლა ყველაზე მეტად ხმარებაშია „დიდი ორეული“ ან „პრო-

ნაკრების სამი მატჩი

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ლ. იაშინის, ვ. მასლაჩენკოს, ა. მედაკინის, ი. ნეტოს, გ. ჩოხელის, ვ. პეტროვის, ვ. ვორონინის, ნ. მანოშინის, ს. მეტრეველის, ვ. ივანოვის, ვ. პონედელნიკის, ბ. ბატანოვის, მ. მესხის, ვ. ბუბუკინის, ვ. ლობანოვსკისა და გ. ხუსაინოვის შემადგენლობით გაემგზავრა ჰოლანდიაში საწვრთნელი მატჩების ჩასატარებლად.

დღეს ნაკრები შეხვდება ჰოლანდიის ეროვნული ჩემპიონატის ლიდერს „ფეიენოორდს“ როტერდამში. 14 მარტს გრონინგენში ითამაშებენ სსრ კავშირის ნაკრები და გვავ-ი, ხოლო 16 მარტს ამსტერდამში — „ბლაუ-ვიტი“ და სსრ კავშირის ნაკრები.

ჩვენ ქალაქებსა და რაიონებში

ჯავა

აქ გაიმართა სამხრეთ ოსეთის მოთხილამურეთა საოლქო პირველობა. მონაწილეობდნენ სტალინირის, ჯავის, ზნაურისა და ქვაისის გუნდები. ვაჟთა შორის 5 კილომეტრზე რბენაში პირველ ორ ადგილზე გამოვიდნენ ჯაველები გ. და ი. სანაკოევები. 15 კილომეტრზე პირველი ადგილი დაიკავა ფ. სანაკოევმა, სწრაფდაშვება მოიგო ტ. ბეჟანოვმა (ყველა ჯავიდან).

ქალთა 3 კმ დისტანციაზე სტალინირელმა რ. სიუკაევამ არავის დაუთმო პირველობა, სამაგიეროდ 5 კილომეტრი და სწრაფდაშვება მოიგო მისმა თანაგუნდელმა ლ. ორლოვამ. მათვე დარჩათ გამარჯვება ესტაფეტაშიც.

ვ. მელქოევი

ყაზბეგი

აქ გაიმართა სათხილამურო შეჯიბრება ყაზბეგის რაიონის პიონერებს შორის. სტარტზე გამოვიდა 161 ბავშვი. 5 კილომეტრზე რბენაში გამარჯვება მოიპოვა ყაზბეგის საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელმა ა. ფიცხალაურმა, სწრაფდაშვება მოიგო მეექვსეკლასელმა ვ. სუჯაშვილმა; სნოს საშუალო სკოლის მეექვსეკლასელებმა თ. ყამარაულმა და ნ. ხართიშვილმა ყველას აჯობეს ორ კილომეტრზე რბენაში. უფრო პატარებიდან თავი ისახელეს ა. მარსაგიშვილმა, გ. ღუდუშაურმა (სოფ. არშა), ა. ფირანაშვილმა, რ. გელაშვილმა (სოფ. სნო) და სხვებმა.

შ. მარსაგიშვილი

✦

ამბროლაური

რაიონის საშუალო სკოლების პირად-გუნდური პირველობა სათხილამურო სპორტში ნიკორწმინდაში ჩატარდა. ესტაფეტა 4×3 კმ. მოიგო ხოტევის საშუალო სკოლამ. სწრაფდაშვებაში გოგონათა შორის პირველი იყო ნ. კობახიძე. ვაჟთა შორის გაიმარჯვა თ. კობახიძემ, სლალომისტ ვაჟებში პირველ ადგილზე გამოვიდა რ. კობახიძე (ყველა ნიკორწმინდიდან), მასვე დარჩა გამარჯვება 5000 მ რბენაში.

გოგონათა შორის 3-კილომეტრიან დისტანციის ფინიშზე პირველი მივიდა ამბროლაურის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლე ჯ. აგლაძე, 20-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა აღინიშნა ნიკორწმინდელ ტ. მურუსიძის უპირატესობით. გუნდური პირველი ადგილი დარჩათ ნიკორწმინდის მოსწავლეებს.

ა. ვაჩაძე

✦

ბათუმი

კვირაში სამჯერ თუ შეიხედავთ „სპარტაკის“ აჭარის საოლქო საბჭოს სპორტულ დარბაზში, ნახავთ, რომ იგი გარკვეული დროის განმავლობაში დათმობილი აქვს ხანშიშესულებს, ადამიანებს, რომლებსაც ძალა აღარ შესწევთ სპორტულ ასპარეზზე თავიანთი გამოსვლებით გააკვირვონ მაყურებელი, მაგრამ კარგად იციან, რომ ფიზკულტურა და სპორტი, რეგულარული ვარჯიშები ახანგრძლივებს სიცოცხლეს. ისინი უკვე რამდენიმე წელია მისდევენ ტანვარჯიშს, დროდადრო თამაშობენ ფრენბურთს, კალათბურთს, ხშირად ესტუმრებიან ზღვასაც. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ჯგუფი 25 კაცისაგან განისაზღვრება, ბათუმში კი ხანშიშესულები, რომლებსაც სურთ ივარჯიშონ, გაიკაჟონ ორგანიზმი, გაიხანგრძლივონ სიცოცხლე, გაცილებით მეტია. მათ სურვილს არავინ აქცევს უყურადღებას. ქალაქში არავის უფიქრია სპორტულ დარბაზებთან შექმნან წრეები ხანშიშესულთათვის.

* * *

სურათზე: ხანშიშესულები ვარჯიშის დროს.

ფოტო და ტექსტი **ე. კებაბჩიანისა.**

განხილულ იქნა აქტუალური საკითხები

✦

საქართველოს სპორტკავშირის VII პლენუმი

✦

მძლეოსნობის განვითარების, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებისა და მათი პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების საკითხი ჯერ კიდევ მთელი სიმწვავით დგას საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობის დღის წესრიგში. უკანასკნელ წლებში და განსაკუთრებით შარშან ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნებმა ერთგვარ წარმატებას მიაღწიეს საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე, ოთხმა მოიპოვა რომის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება, ხოლო ორი (შავლაყაძე და შჩერბინა) საპრიზო ადგილებზეც გამოვიდა. გაცილებით მეტი მაღალი თანრიგოსანი იქნა მომზადებული. ყოველივე ამის მიუხედავად რესპუბლიკაში კვლავ არასახარბიელო მდგომარეობაა ამ სახეობის მასობრივ განვითარებაში. სპორტული საზოგადოებები და სპორტკავშირების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები კმაყოფილდებიან ერთეული მაღალი თანრიგის სპორტსმენის მომზადებით და ხშირად მოწვეული მძლეოსნების ხარჯზე ცდილობენ თავიანთ ნაკლოვანებათა მიჩქმალვას.

ბევრგან, უმაღლეს სასწავლებლებშიც კი, იმდენად დაბალ დონეზე დგას მძლეოსნობა, რომ იგი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ეს განსაკუთრებით ითქმის თბილისის, გორის, სოხუმის, ბათუმის, თელავის პედაგოგიურ, თბილისის უცხო ენათა და სამედიცინო ინსტიტუტების შესახებ, რომ არაფერი ვთქვათ საწარმოო და სოფლის კოლექტივებზე. რესპუბლიკის წამყვანი მწვრთნელები არასათანადო დატვირთვით მუშაობენ ამ ხარვეზების დასაძლევად. ელოდებიან თუ როდის ჩაუვარდებათ ხელში კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდები. სწორედ ესაა მიზეზი, რომ რესპუბლიკის ნაკრები გუნდის 65 წევრიდან 49 თბილისიდანაა, რომ შარშან რაიონებში მომზადდა მხოლოდ 6 პირველთანრიგოსანი, ხოლო აფხაზეთში ორი პირველთანრიგოსანი.

სტალინირის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტულ სკოლაში მძლეოსნობის 8 ჯგუფია და მეორეთანრიგოსანი კი არ ყავთ. ოჩამჩირეში მძლეოსნობას ხელმძღვანელობს ვინმე მუნჩავა, რომელიც კალათბურთელია და მძლეოსნობაზე ნაკლებად ზრუნავს.

ცუდად დგას ბავშვებთან და განსაკუთრებით გოგონებთან მუშაობის საქმე. საილუსტრაციოდ ისიც კმარა, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს პირველობის მესამე ზონაში გამარჯვებულ მახარაძის რაიონის გუნდიდან ვერც ერთმა გოგონამ ვერ აჩვენა თუნდაც მესამე თანრიგის შედეგი. არადამაკმაყოფილებელია ბავშვებთან მუშაობა თბილისშიც.

ყველაფერი ეს მძლეოსნური ბაზების სიმცირითაც არის გამოწვეული. ფოთის, მახარაძის, ხაშურის, ცხაკაიას, სამტრედიის სტადიონებზე არსებული მძლეოსნური სექტორები უვარგისია. ონის, თერჯოლის, ვანის, წულუკიძის, ორჯონიკიძის, სიღნაღის, ლანჩხუთის სტადიონებს კი ისინი საერთოდ არა აქვთ.

რესპუბლიკაში მძლეოსნური სპორტის განვითარება და მიღწეოსან სპორტსმენთა გამოვლინება, როგორც ჩანს, აღემატება წამყვანი მწვრთნელების, ამ სახეობის ფასიანი მუშაკების შესაძლებლობებს. ეს ფაქტი ცხადია ყველასათვის, მაგრამ მაინც, რატომღაც ბევრი საოლქო, საქალაქო და რაიონული ხელმძღვანელი სექციები თავს არ იწუხებენ ამ საქმეში საზოგადოებრივი კადრების გამოყენებაზე, არ აწყობენ სემინარებს საზოგადოებრივი მწვრთნელებისათვის მძლეოსნობაში, ხშირად კი თვითონ მწვრთნელები არიდებენ თავს სემინარების მუშაობაში მონაწილეობის მიღებას.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში საგრძნობლად გაიზარდა როგორც ფიზკულტურული კოლექტივები და მათში გაერთიანებულთა რაოდენობა, ისე საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების რიცხვი. მარტო ერთი წლის განმავლობაში 107 ათასი კაცით იმატა ფიზკულტურელთა რიცხვმა, მომზადდა 10.290 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და 8.086 მსაჯი. ეს საკმაოდ დიდი ძალაა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია ნაკლი ამ საქმეში ნაკისრ შვიდწლიანი გეგმის განაღდებისათვის, ხშირად არასათანადოდ ხდება მომზადებული კადრების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. 1960 წლისათვის რესპუბლიკის საზოგადოებრივი კადრების თითქმის 25 პროცენტი განითესა. ისევე გამოუყენებელი იყო 1.500-მდე საზოგადოებრივი მსაჯი, 5.700 საზოგადოებრივი ინსტრუქტორიდან ერთი წლის განმავლობაში პრაქტიკულ საქმიანობას ჩამოშორდა 700 მუშაკი.

საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების კარგი ტრადიცია აქვთ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს. აქ ყველა კურსდამთავრებული ღებულობს მეორე სპეციალობას — ფიზკულტურულ განათლებას. ამ მხრივ კარგად მუშაობენ „სპარტაკისა“ და „კოლმეურნის“ ორგანიზაციებიც. ისინი სათანადო ყურადღებას აქცევენ მომზადებული კადრების გამოყენებას. მაგრამ ბევრგან ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა, მაგალითად, შარშან აფხაზეთში წლის განმავლობაში მომზადებული საზოგადოებრივი კადრების 50 პროცენტი ჩამოშორდა პრაქტიკულ საქმიანობას, სამხრეთ ოსეთში კი 1959 წლის განმავლობაში ერთი საზოგადოებრივი ინსტრუქტორიც არ მოუმზადებიათ, შარშან ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა კასპის ელექტროაპარატურისა და აგურის ქარხნებში.

მათ არ ჩამორჩნენ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამ ორგანიზაციებში შარშან არაფერი გაუკეთებიათ ინსტრუქტორთა მომზადებისათვის.

საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებაში არსებობს სერიოზული დარღვევები. მაგალითად, სამტრედიის „კოლმეურნის“ რაისაბჭომ ინსტრუქტორების მოსამზადებელი სემინარის დრო ერთი ორად შეამცირა და 180 საათის ნაცვლად 60 საათში „გამოაცხო“ ისინი. მახარაძის რაისაბჭო 62-საათიანი პროგრამით დაკმაყოფილდა. უფრო შორს წავიდა ზუგდიდის რაისაბჭო. აქ 12 საათში აათვისებინეს ყველაფერი მსმენელებს. „განთიადში“ 80-ის ნაცვლად 40 საათში მოამზადეს ინსტრუქტორები და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი კადრების მომზადებაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი იერიშობანას, არაგეგმიურობას.

კადრების მომზადებისა და მათი სამუშაოზე განაწილების საქმე დამაკმაყოფილებლადაა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში. შარშან სასწავლებელი დაამთავრა 28 ოსტატმა, 62 პირველი და 32 მეორე თანრიგის სპორტსმენმა, ამასთან ყველა მათგანს ჰქონდა არანაკლები მეორე კატეგორიის მსაჯის წოდება მაინც. 128 ინსტიტუტდამთავრებულთაგან განაწილების გარეშე დარჩა მხოლოდ სამი კაცი. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკა ყოველწლიურად სათანადო შევსებას იღებს; მთელი რიგი სკოლები ჯერ კიდევ განიცდიან მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობას. მაგალითად, ადიგენის სკოლებში მომუშავე ფიზკულტურის 20 მასწავლებლიდან მხოლოდ 10 კაცს აქვს უმაღლესი და საშუალო ფიზკულტურული განათლება, ასპინძის 17 მასწავლებლიდან — 7-ს, ახმეტაში მომუშავე 18 პედაგოგიდან — 12-ს და ა. შ.

ეს საკითხები — რესპუბლიკაში მძლეოსნობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და საზოგადოებრივი ფიზკულტურულ და ფიზკულტურის ინსტიტუტში აღზრდილ კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების ღ ო ნ ი ს ძ ი ებ ათ შესახებ — მოისმინა საქართველოს სპორტკავშირის VII პლენუმმა. პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარე ლ. სანაძე. მეორე საკითხზე ილაპარაკა ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექტორმა ა. ფალავანდიშვილმა, რის შემდეგ გაიმართა კამათი.

სიტყვით გამოსულმა თბილისის სპორტკავშირის თავმჯდომარემ გ. რცხილაძემ, აფხაზეთის მძლეოსნობის სექციის თავმჯდომარემ ა. კერსლიანმა, დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორმა პ. მიქაძემ, მწვრთნელმა ე. გოკიელმა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ყენენტმა, გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდას ფიზკულტურის მასწავლებელმა შ. ნაცვლიშვილმა, ალპინისტთა კლუბის დირექტორმა ა. ივანშვილმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის გამგის დოცენტმა დ. იოსელიანმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. შავლაყაძემ, რუსთავის სპორტკავშირის თავმჯდომარემ გ. ყარალაშვილმა, „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ბ. პაიჭაძემ, ბათუმელმა მწვრთნელმა ი. ბეზროდნიმ ილაპარაკეს მძლეოსნობის განვითარებასა და ფიზკულტურული კადრების გამოყენების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე, რაიონებისადმი ნაკლებ დახმარებაზე, ქალაქებს შორის სამატჩო შეხვედრების ჩატარების აუცილებლობაზე და სხვ.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სამსონაძემ.

პლენუმმა ორივე საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

წერილი რედაქციას

შევქმნათ ქალთა გუნდები

დაიწყო 1961 წლის სპორტული სეზონი. ჩვენ, აჭარელ ქალებს, გვინდა ახალი წარმატებები მოვიპოვოთ ამ სეზონში, უფრო თამამად გადავდგათ ფეხი სპორტულ ასპარეზზე. ამისათვის უკვე შექმნილია წინაპირობები. როგორც ცნობილია, 1958 წელს, 25 ოქტომბერს ბათუმში პირველად ჩატარდა აჭარის ქალთა სპარტაკიადა და ეს დღე შემდეგ მიჩნეულ იქნა ქალთა სპარტაკიადის ტრადიციულ დღედ. ამ ფაქტმა კარგი ბიძგი მისცა საქმეს. კერძოდ, ჩვენთან, ბათუმის რაიონის სოფ. წინსვლის ტელმანის სახ. კოლმეურნეობაში შეიქმნა ქალთა ნაკრები გუნდი ფრენბურთში, რამდენიმე კოლმეურნე ფიზკულ ტ უ რ ე ლ ი მძლეოსნობითაც დაინტერესდა.

მაგრამ, სამწუხარო ის არის, რომ ჩვენს გუნდს, ისევე როგორც მძლეოსნებსაც, არ შეუძლიათ შეხვდნენ რომელიმე მეზობელი კოლმეურნეობის სპორტსმენებს. ვინაიდან ასეთი გუნდები არ არსებობს. ვფიქრობ, დროა სათანადო ორგანოებმა, უწყებებმა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა იზრუნონ სოფლად ქალთა გუნდების შექმნაზე, რომ აღარ გამეორდეს გასული, ქალთა II სპარტაკიადის სამარცხვინო ფაქტი: ამ სპარტაკიადაზე არც ერთი კოლმეურნეობის ქალთა გუნდს არ მიუღია მონაწილეობა.

ლ. ბაკურიძე,

სოფ. წინსვლის ტელმანის სახ. კოლმეურნეობის ქალთა გუნდის მწვრთნელი ფრენბურთში.

ლ ე ლ ო

ფე-2 ბ3. № 30 (1666)

XXII

საჭადრაკო ჩემპიონატი

გადადებული პარტიების დამთავრება

ბევრ შემთხვევაში ეტლით მხედრის წინააღმდეგ შეიძლება მოგება: მაგრამ, როცა დაფაზე პაიკებია შემორჩენილი, როგორც ეს იყო გურგენიძე-ბუსლაევის გადადებულ პარტიაში, მაშინ შედარებით ადვილია გამარჯვება. გურგენიძემ შეარჩია მომენტი და მხედარში ეტლის დათმობით ბრძოლა პაიკთა მოსაგებ დაბოლოებაში გადაიყვანა. ბუსლაევმა ჩემპიონატში პირველი დამარცხება განიცადა.

— გთხოვთ შეამოწმოთ ეს პოზიცია, — მიმართა ბლაგიძემ მსაჯთა კოლეგიას გუფელდთან პარტიის დამთავრებისას — მგონი იგი სამჯერ გამეორდა და ყაიმია. შეამოწმეს და დაადგინეს, რომ ბლაგიძეს „მოეჩვენა“. თამაში გაგრძელდა. „გაბრაზებულმა“ გუფელდმა მალე დაარწმუნა ბლაგიძე მისი წინააღმდეგობის უიმედობაში.

შეუპოვრად იცავდა თავს შიშოკი ბუსლაევთან. ერთ მომენტში შიშოვმა ლაზიერიც კი შეწირა, მაგრამ ბუსლაევმა მტკიცე თამაშით უკუაგდო ყველა მუქარა და გაიმარჯვა.

— თქვენ გქონდათ ყაიმის შანსები, — უთხრა ხოლმოვმა იზვოზჩიკოვს პარტიის მოგების შემდეგ.

— როგორ?

— ეტლების დაბოლოებაში საჭიროა დიდი აქტივობა მოწინააღმდეგის მატერიალური უპირატესობის განეიტრალებისათვის,—თქვა გროსმისტერმა. — თქვენ კი პასიურად იბრძოდით.

გროსმაისტერი მართალს ამბობდა. მან აჩვენა იზვოზჩიკოვს დაახლოვებით ვარიანტებიც. შესამჩნევია, რომ საქართველოს მოჭადრაკეები ცუდათ იცნობენ ენდშპილების თეორიას.

დანარჩენ შეხვედრებში ბერაძემ მოუგო მიქაელიანს, ეგიაშვილმა — გიორგაძეს, ხოლო ბრეიტმან-გაგუასა და შეინცვიტ-გიორგაძის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

* * *

მეთოთხმეტე ტური

ყაიმით დამთავრდა ხოლმოვ-გურგენიძის, კალატოზიშვილ-ბუსლაევის შეხვედრები. შტეინმა მოუგო შიშოვს, გუფელდმა — იზვოზჩიკოვს, გიორგაძემ — მიქაელიანს და ბრეიტმანმა — შეინცვიტს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

* * *

გაზეთი „ლელო“ ნიშნავს სპეციალურ პრიზს საუკეთესო შედეგისათვის დასკვნით ხუთ ტურში.



სურათზე: თბილისის „ბურევესტნიკისა“ და სვერდლოვსკის „ტრუდის“ შეხვედრის მომენტი.

ფოტო გ. სახეჩიძისა.

თბილისელი ფრენბურთელები ფინალში

დამთავრდა ფრენბურთში სსრ კავშირის 1961 წლის პირველობის წინასწარი შეხვედრები ვაჟთა გუნდებისათვის. პირველ ქვეჯგუფიდან დასკვნით შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: ცსკა-მ, ოდესის „ბურევესტნიკმა“, ლენინგრადის სკა-მ და მოსკოვის „ლოკომოტივმა“.

ფინალში გასვლისათვის დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობდა მეორე ქვეჯგუფში. აქ თავდაპირველად ლიდერობა ხელთ იგდეს კიევის „ლოკომოტივმა“ და თბილისის „ბურევესტნიკმა“, მაგრამ ამ ორი გუნდიდან მხოლოდ რკინიგზელმა ფრენბურთელებმა შეძლეს ლიდერობის შენარჩუნება. რაც შეეხება თბილისელ სტუდენტებს, მათ თბილისში დაგროვილ 4 ქულას ვერცერთი ვერ მიუმატეს და ამდენივე ქულით დაამთავრეს წინასწარი შეხვედრები და საგრძნობლად გაიუარესეს სატურნირო მდგომარეობა. ყველაფერი დამოკიდებული იყო გროზნოს „სპარტაკის“ მომდევნო შეხვედრების შედეგზე. 3 თამაშში გამარჯვების შემდეგ გროზნოს „სპარტაკმა“ დანარჩენი შეხვედრები წააგო და ფინალში მონაწილეობის უფლება თბილისელ ფრენბურთელებს „დაუთმო“. ამრიგად, გამოვლინდა მეორე ქვეჯგუფის 4 ფინალისტი. ესენი არიან: კიევის „ლოკომოტივი“, მოსკოვის „ბურევესტნიკი“, რიგის სკიფი და თბილისის „ბურევესტნიკი“.

სპორტული კომბინატი კავკასიაში

კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ საზეიმოდ გახსნა სპორტული კომბინატი ჰავანაში. კომბინატს აქვს დარბაზი, რომელიც 10 ათას მაყურებელს იტევს, დიდი საცურაო აუზი, ფეხბურთის, კალათბურთისა და ჩოგბურთის მოედნები.

მიმდინარე წლის განმავლობაში კუბაში მუშაობას დაიწყებს კიდევ 43 სპორტული ნაგებობა.

ბაკურიანში სამთო-სათხილამურო სახეობებთან ერთად მეტად პოპულარული გახდა ჰოკეი. მოხალისეებმა უკვე აითვისეს სრიალი, შაიბის ტარება და ახლ გასინჯეთ, „ველური“ გუნდიც ჩამოყალიბდა.

სურათზე: ბაკურიანელი ბიჭუნების მიერ შედგენილი ჰოკეის „ველური“ გუნდი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა

ჩვენი ქვეყნის 1961 წლის პირველობის წინასწარი შეხვედრები არც თუ ისე სახარბიელო გამოდგა თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდისათვის. 6 თამაშიდან 3 ქულა. ასეთი იყო ქართველ სპორტსმენთა მოკრძალებული შედეგი, რომელიც საკმარისი არ იყო ფინალში გასვლისათვის.

ამიტომ იყო, რომ თბილისისა და ბაქოს თანაკლუბელების შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი კალათბურთელებისათვის, რომლებიც გამარჯვების შემთხვევაში სანუკვარ მიზანს აღწევდნენ — გადიოდნენ გათამაშების ფინალში.

თამაშის პირველ წუთებიდანვე დაწინაურდნენ თბილისელი სპორტსმენები, რომელთა იერიშების უვნებელსაყოფად ვერაფერი გააკეთეს ბაქოელებმა. თამაშის პირველი ტაიმი თბილისელებმა მოიგეს 16 ქულის განსხვავებით — 36:20.

სურათი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. საქმე იქამდე მივიდა, რომ შეხვედრის დასკვნით წუთებზე ბაქოს გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკის“ სათადარიგო შემადგენლობა. მატჩის საბოლოო შედეგია 77:42 თბილისელ კალათბურთელთა სასარგებლოდ.

ამრიგად, გამოირკვა ფინალური ჯგუფის მონაწილე გუნდები. ესენი არიან: „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი), უესკა (ტარტუ), „დინამო“ (მოსკოვი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი), ტტტ (რიგა), სკა (ლენინგრადი), სკიფი (ლენინგრადი) და „ტრუდი“ (მოსკოვი).

ზ. ნადიბაიძე

ᲛᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ

საქალაქთაშორისო მატჩი ცურვაში

ბაქოელ და თბილისელ მოცურავეთა მატჩის მეორე დღეს რ. არკადიევამ იოლად მოიგო შეჯიბრება 100 მეტრზე თავისუფალი სტილით. მას მიბაძა ხ. სემიონოვამ და ბატერფლაის სტილით ცურვაში თავის თანაგუნდელ პიჩუგინასთან ერთად კიდევ ერთი პირველი ადგილი შესძინა ბაქოს გუნდს.

თბილისელთაგან გუნდს გამარჯვება მოუტანეს ე. შავდიამ, რომელიც მიუწვდომელი აღმოჩნდა მოწინააღმდეგეებისათვის 100 და 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში და ლ. კრილოვამ, რომელმაც მოიგო 100 და 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვა.

ქალების მიერ დაკარგული ქულები მთლიანად აანაზღაურეს თბილისელმა ვაჟებმა, რომლებმაც არა მარტო მოიპოვეს ყველა პირველი ადგილი, არამედ მეორე ადგილების დაკავების საშუალებაც კი არ მისცეს სტუმრებს.

გამარჯვებულთა შორის აღსანიშნავია სპორტის ოსტატი ბ. ნიკიტინი, რომელმაც ამჯერად ძალა სცადა ბატერფლაის სტილით ცურვაში და 200 მეტრზე ცურვაში შეეჯიბრა ბაქოელ სპორტის ოსტატს ვ. ჟენენკოვს. ნიკიტინმა საშიში მეტოქე 13,2 წამით უკან ჩამოიტოვა და რესპუბლიკის მიღწევების ცხრილში ახალი შედეგი 2 წუთი და 27 წამი ჩაწერა. ორორი დისტანცია მოიგეს აგრეთვე თბილისელმა სპორტის ოსტატებმა ი. ფუნიკოვმა (ბრასი) და ბ. კამენსკიმ (ზურგზე ცურვა).

400-მეტრიანი დისტანცია ქალთა შორის ბაქოელ ო. ლუნევასთან დაძაბულ ბრძოლაში მოიგო ი. ამნიაშვილმა. ვაჟებში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ამ დისტანციის „ოსტატმა“ ბ. ნიკიტინმა საკმაოდ მაღალი შედეგით — 4 წუთი და 38,9 წამი.

ქალთა ესტაფეტა 4×100-ზე დაძაბულ ბრძოლაში მოიგეს საქართველოს წარმომადგენლებმა.

სამი დღის საინტერესო ასპარეზობის შედეგად გუნდური გამარჯვება თბილისელებს დარჩათ.

ა. ბარნოვი

სტუდენტებმა აჩვენეს კარგი თამაში

„ბ“ კლასის ფრენბურთელთა ზონალური პირველობის მეორე დღეს განსაკუთრებული საინტერესო არაფერი მოუტანია მაყურებლისათვის. უძლიერესებმა შეძლეს თავიანთი შედარებით სუსტი მოწინააღმდეგეების დამარცხება. თბილისის სკიფმა მოუგო სვერდლოვსკის „ტრუდს“ — 3:0, ხოლო ვინიცის გუნდმა — ბაქოს „ნეფტიანიკს“ — 3:0, მოსკოვის „სპარტაკმა“ — ომსკის „ბურევესტნიკს“ — 3:1, ოდესის სკა-მ — ალმა-ატის „ბურევესტნიკს“ — 3:0.

ძალზე საინტერესო გამოდგა გათამაშების მესამე დღის შეხვედრები. 4 მატჩიდან 3-ში გამარჯვებული გამოვლინდა მხოლოდ გადამწყვეტ, მეხუთე პარტიაში. ალმა-ატის „ბურევესტნიკმა“ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მასზე შედარებით ძლიერ ომსკის „ბურევესტნიკს“ და დამარცხება განიცადა მხოლოდ მეხუთე პარტიაში, ისიც მცირე განსხვავებით — 13:15. როცა მოსკოვის „სპარტაკის“ ძლიერი გუნდი ვინიცელ ფრენბურთელებს შეხვდა, მაყურებლებიდან არავის ეპარებოდა ეჭვი მოსკოველების იოლ გამარჯვებაში. ვინიცელებმა ზედიზედ მოიგეს პირველი ორი პარტია, მაგრამ სპარტაკელები მაინც უკეთ გამოიყურებოდნენ ამ შეხვედრაში და გაიმარჯვეს კიდეც — 3:2. ბაქოს „ნეფტიანიკმა“ დაამარცხა სვერდლოვსკის „ტრუდი“ — 3:2.

რა უნდა გაეკეთებინა თბილისელ ფრენბურთელებს ოდესის არმიელთა გუნდის წინააღმდეგ, როცა ეს უკანასკნელი 2 სპორტის ოსტატის და უძლიერესი პირველთარიგოსნებითაა დაკომპლექტებული და თანაც იგი გასულ წლებში მოსკოვის „სპარტაკთან“ ერთად „ა“ კლასის მკვიდრი იყო? თავგანწირული თამაშით უნდა „შეებორკათ“ ე. უნგურსი, ვ. ზისელსი, ი. სობოლევი, რათა უვნებელეყოთ მათი უძლიერესი დარტყმები.

ეს ასეც მოხდა. თბილისელებმა არა მარტო შეძლეს ოდესელების იერიშების მოგერიება, არამედ მთელი ფრონტითაც უტევდნენ მათ და სასურველ შედეგსაც აღწევდნენ. ანგარიში იზრდებოდა ჩვენი დედაქალაქის ფრენბურთელთა სასარგებლოდ და პირველი პარტიაც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 15:8.

მეორე პარტიაში ჯერ სტუმრები დაწინაურდნენ, შემდეგ თბილისელები გავიდნენ წინ და თამაშმა კულმინაციურ წერტილს მიაღწია მაშინ, როცა ანგარიში გათანაბრდა — 14:14, 15:15. ოდესელები ყოველთვის ცდილობდნენ ბადესთან გაეყვანათ უძლიერესი თავდამსხმელი ე. უნგურსი, რომელსაც ყუშბარისებური დარტყმები აქვს. იგი ყველაფერს აკეთებდა, რათა მის მიერ მეტოქის მოედნისაკენ გაგზავნილი ბურთი მიზანს მოხვედროდა. ეს თითქმის უკვე განხორციელებული იყო. ბურთი ეს-ეს არის უნდა შეხებოდა მოედანს, მაგრამ ი. მიხახაშვილის, ვ. კორნევსკის, ვ. კუზნეცოვის, ბ. ცალოევის, რ. აკოპჯანიანის შესანიშნავი თამაშით თითქმის უიმედო ბურთი კვლავ ჰაერში იყო და ახლა თბილისელები ამზადებდნენ საპასუხო იერიშს. პარტია კვლავ ჩვენმა სპორტსმენებმა მოიგეს — 17:15.

ოდესელმა ფრენბურთელებმა იგრძნეს რა დამარცხების საშიშროება, გადაწყვიტეს რათაც არ უნდა დაჯდომოდათ მოეგოთ მესამე და მეოთხე პარტია. მაგრამ თბილისელებმა მათ დარტყმებს „გაუვალი“ ბლოკები დაუყენეს, რითაც არევ-დარევა შეიტანეს მოწინააღმდეგის რიგებში. მესამე პარტიის ბოლოს სტუდენტები წინ გავიდნენ, შეინარჩუნეს უპირატესობა და გაიმარჯვეს ანგარიშით 15:10.

არ შეიძლება რომელიმე მოთამაშე გამოვყოთ თბილისის გუნდიდან. ჭების ღირსია ამ კოლექტივის ყველა წევრი, რომლებიც არ შეუშინდნენ მრავალ საკავშირო შეჯიბრებაში გამოწრთობილ კოლექტივს, აჩვენეს შესანიშნავი და თავგანწირული თამაში.

ნ. იაშვილი

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 30 (1666)



ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ

სახელმწიფო გამომცემლობამ — „ფიზკულტურა ი სპორტმა“—1960 წელს გამოსცა მეტად საჭირო სახელმძღვანელო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტებისათვის — „სპორტული ჭიდაობა“. სახელმძღვანელოში განზოგადებულია კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის წამყვან სპეციალისტთა დიდი გამოცდილება. მისმა ავტორმა, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. სოროკინმა წიგნის შესაქმნელად ფართოდ გამოიყენა სხვადასხვა ლიტერატურული წყაროები (პედაგოგიკა, ფიზიკური კულტურის ისტორია, ფიზიკური აღზრდის თეორია, ანატომია, ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია და სხვ.).

სახელმძღვანელო შედგება 12 თავისაგან. პირველი შვიდი თავი დათმობილი აქვს ჭიდაობის თეორიულ საკითხებს. ამ თავებში გაშუქებულია სპორტული ჭიდაობის მოკლე ისტორია, მისი კლასიფიკაცია, სისტემატიკა და ტერმინოლოგია, ორგანიზაცია, გეგმიანობა და სასწავლო-საწვრთნო მუშაობის აღრიცხვა, სწავლების მეთოდიკა, წვრთნის მეთოდიკა, სასწავლო-საწვრთნო მუშაობის თავისებურებანი მოზარდთა და ჭაბუკთა ასაკში, მოჭიდავის ტაქტიკა.

სახელმძღვანელოში მოცემული თეორია სავსებით შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ საილექციო კურსს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტებისათვის.

მერვე თავში განხილულია მოჭიდავის სპეციალური ვარჯიშები. აქ მოცემულია მოჭიდავის როგორც ზოგადგანმავითარებელი, ისე სპეციალური ვარჯიშები. შემდგომ ოთხ თავში აღწერილია კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის ტექნიკა. სპორტული ჭიდაობის ტექნიკა მოცემულია ახალი კლასიფიკაციის, სისტემატიკის და ტერმინოლოგიის შესაბამისად, რომელიც შემუშავებული იყო სპეციალური კომისიის მიერ და დამტკიცებულია საკავშირო სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მიერ 1959 წელს.

ნ. სოროკინმა შეძლო კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის რთული და მდიდარი ტექნიკის აღწერა. ეს გარემოება სახელმძღვანელოს საინტერესოს ხდის არა მარტო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტებისათვის და მასწავლებლებისათვის, არამედ მწვრთნელებისათვის და მაღალკვალიფიციური სპორტსმენებისათვისაც.

აღნიშნულ დადებით მხარეებთან ერთად სახელმძღვანელოს გააჩნია ზოგიერთი ნაკლოვანებანი. კერძოდ, სახელმძღვანელოში ზოგიერთ ფანდთა სწავლების საკითხები არაა სწორად გაშუქებული. ეს განსაკუთრებით ეხება გაზნექითი გდებების სწავლების მეთოდიკას, იმიტაციური ვარჯიშები, რომელნიც რეკომენდებულია გაზნექითი გდებების შესასწავლად, ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას. იმიტაციური ვარჯიშები მომეცადინეებს აჩვევენ გაზნექითი გდებების მსგავს, მაგრამ არა ადექვატურ სტრუქტურას. ეს ფაქტი სწავლების პროცესში მეღავნდება დინამიურ სტერეოტიპთა მეტოქეობით, რომელიც მიმდინარეობს ადრე გამომუშავებულ სტრუქტურულ ფორმასა (იმიტაციური ვარჯიშებით) და გაზნექით გდებების სწორ სტრუქტურულ ფორმას შორის. რეკომენდებული მეთოდიკის გამოყენების დროს ეს ფაქტი ნათლადაა გამოხატული სწავლების პროცესში და მეტად ართულებს გაზნექითი გდებების სწორად სწავლებას.

სახელმძღვანელოში არაა მოცემული გაზნექითი გდებების ბიომექანიკური ანალიზი. ავტორს აგრეთვე მხედველობიდან გამორჩენია მოგვერდის ტექნიკის ანალიზი დინამოგრაფიულ პლატფორმაზე, რომელიც ჩატარებულია პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ა. ნოვიკოვის მიერ.

სახელმძღვანელოში სპორტული ჭიდაობის ტექნიკა ილუსტრირებულია კინოგრამებით და ფოტოსურათებით. მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ ავტორს იგი უფრო მეტად მოეცა კინოგრამებით. ეს უფრო გაგებს გასიდა სახელმძღვ[illegible] ფართო მკითხველებისათვის.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, ზემოხსენებული ნაკლოვ[illegible] ვერ ჩრდილავენ სპორტული [illegible] ობას ამ მეტად სასარგებლო [illegible] ლმძღვანელოს დადებულ [illegible] დადებულ მხარეებს. ეს [illegible] ხურს გაუწევს ჭიდაობის შემ[illegible] განვითარებას.

დასასრულს, იმედი უნდა [illegible] თქვათ, რომ ჩვენი სპეციალის[illegible] ახლო მომავალში შეძლებენ [illegible] თულ ენაზე შექმნან სპეციალ[illegible] წიგნი ჭიდაობაზე, რომელიც [illegible] ისათვის ჩვენ არ გვაქვს. ამ [illegible] ზის გამოსწორება დიდად [illegible] ყობს ხელს იმ სპორტული ტ[illegible] ციების შენარჩუნებას და გან[illegible] ცებას, რომლებიც ქართველ [illegible] დავეებს გააჩნიათ.

მ. ოყროპ[illegible]
პედაგოგიურ მეცნიერებათა [illegible] დიდატი,

მ. თიკანა[illegible]
სსრკ დამსახურებული მწ[illegible] ნელი,

გ. ᲗᲐᲠᲫᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚ[illegible]
სსრკ დამსახურებული მწ[illegible] ნელი.

მკითხველთა სიგნალები

ტრადიცია უნდა განახლდეს

1957 წელს საქართველოს მასწავლებელთა ფიზკულტურულ კოლექტივებში ერთგვარი გამოცოცხლება იგრძნობოდა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ და განათლების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტმა გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ ამ დარგის მუშაკთა პირველი რესპუბლიკური სპარტაკიადა. ამ ღონისძიებას წინ უძღოდა შეჯიბრებებები. შემდეგ წაღვერსა და ბაკურიანში გაიმართა გადამწყვეტი შეხვედრები. ღონისძიებამ იმდენად დაინტერესა რესპუბლიკაში მოღვაწე ფიზაღზრდის პედაგოგები, რომ ფინალურ შეხვედრებში ხანშესულებმაც კი მიიღეს მონაწილეობა. ეს იყო და ეს. მას შემდეგ, ეს კარგი წამოწყება ხელმძღვანელთაგან არავის მოგონებია, ფიზკულტურის პედაგოგები კი ყოველწლიურად ელოდნენ ტრადიციის განახლებას.

ვფიქრობთ, რომ აუცილებელია განახლდეს მასწავლებელთა სპარტაკიადების ჩატარება. ეს აახლოებს მათ და ურთიერთ გამოცდილების გაზიარების საშუალებას იძლევა.

ი. ᲮᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ქუთაისში დიდი პოპულარობით სარგებლობს კრივი. მწვრთნელი ი. მარჭაროვი ხელმძღვანელობს სპორტის ამ სახეობას და საკმაო წარმატებებიც აქვს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ქალაქის ნაკრები გუნდი მეცადინეობაზე. შუაში უკანა პლანზე — მწვრთნელი ი. მარჭაროვი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სხვათა შორის

„ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ“ ᲥᲐᲚᲚᲘ

გლაზგოს (შოტლანდია) ერთ-ერთი უდიდესი სტადიონის კონტროლიორებმა აუარადღება მიაქციეს დიდ, ლამაზ ძაღლს ფართო აელსაბამით, რომელიც ყოველი საფეხბურთო მატჩის წინ რამდენიმეჯერ შერბოდა და გამორბოდა სტადიონზე. კონტროლიორებმა ეჭვი აიღეს და დიდის გაჭირვებით დაიჭირეს ძაღლი. აღმოჩნდა, რომ მას აელსაბამის ქვეშ ჩამალული ჰქონდა სეზონური შესასვლელი ბილეთი, რომელსაც მას პატრონი ატანდა გარეთ თავისი ნაცნობებისათვის.

დაბა ᲥᲣᲚᲐᲨᲘᲡ მცხოვრები შ. ლევიაშვილი და მაიაკოვსკის საშუალო სკოლის მოსწავლე ა. ხურციძე გვეკითხებიან: თამაშობს თუ არა კიევის „დინამოში“, ცნობილი ნახევარმცველი ი. ვოინოვი და რატომ არ იქნა იგი შეყვანილი სსრ კავშირის ნაკრებში.

ნახევარმცველი იური ვოინოვი წელს კვლავ ითამაშებს კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში, ხოლო რაც შეეხება მის არ ყოფნას სსრ კავშირის ნაკრების საგზაფხულო შეკრებაზე, ეს მოხდა იმის გამო, რომ ი. ვოინოვი მკურნალობდა ნატკენ ფეხს. გასულ წელს 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში ი. ვოინოვი პირველ ნომრად იყო მარჯვენა ნახევარმცველის პოსტზე. შევა თუ არა ვოინოვი მომავალში სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, ეს მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ფორმაში იქნება ეს ფეხბურთელი წინამდებარე სეზონში.

სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტს რ. ზვიადაურს აინტერესებს, თუ რამდენი თამაშის ჩატარება მოუხდებათ თბილისის დინამოელებს ნაკრების წევრთა გარეშე.

სსრ კავშირის 1961 წლის ჩემპიონატისა და თასის დებულებაში დარჩა ის პუნქტი, რომლის ძალითაც ნაკრების მოთამაშე ვერ მიიღებს თავისი კლუბის კალენდარულ მატჩში მონაწილეობას, თუ კლუბისა და ნაკრების მატჩები დაემთხვა ერთმანეთს. სსრ კავშირის პირველობის, აგრეთვე ნაკრები გუნდის მატჩების კალენდარი ცნობილია და პრესაშიც იყო გამოქვეყნებული. იქ, სადაც მატჩები ემთხვევა ერთმანეთს, ნაკრების მოთამაშეები თავიანთ კლუბებში ვერ ითამაშებენ.

* * *

წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუნკურის მაცხოვრებლებს ა. და რ. შალამბერიძეებს აინტერესებთ სადაურია თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი ბორის ფროლოვი და სად იმყოფება იგი ამჟამად.

ბ. ფროლოვი ბათუმელია. ამჟამად იგი იქვე მუშაობს.

ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ

დაიწყო ბალკანეთის თასის თამაშება ბულგარეთის, ალ[illegible] თის, რუმინეთისა და თურ[illegible] გუნდებს შორის. შეჯიბრებაში [illegible] ნაწილეობენ ცნობილი კლ[illegible] „ფენერბახჩე“ (სტამბოლი), „[illegible] ტიზანი“ (ტირანა), „სტიაგულ[illegible] შუ“ (ბუქარესტი) და „ლ[illegible] (სოფია).

ბალკანეთის თასის გათამ[illegible] ფეხბურთში ამიერიდან სისტ[illegible] ტურად ჩატარდება.

რედაქტორი ი. ᲣᲒᲣᲚ[illegible]

12 მარტს

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲖ[illegible] ᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘ[illegible] ᲢᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔ[illegible] ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ [illegible] ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘ[illegible] ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲙᲚᲔᲜᲣᲛ[illegible]

დასაწყისი 12 საათზე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲠ[illegible] ᲢᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗ[illegible] ᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲓᲐᲠᲑ[illegible] ᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲐᲥ[illegible] ᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲞᲘᲠ[illegible] ᲚᲝᲑᲐ

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ[illegible]

დასაწყისი 12 და 17 საათ[illegible]

ᲓᲦᲔᲡ!

3. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲡᲞᲝᲠᲢᲓᲐᲠ[illegible] ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ქალები

„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ“ (თბილ[illegible] — „ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ“ (ოდ[illegible]

დასაწყისი 19 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლენინი“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЭ 0095